

კომისიის საქმიანობა



კომუნისტური ტოტალიტარული და ფაშისტური იდეოლოგიების მატარებელი სიმბოლიკის, ძეგლების, ბარელიეფების, წარწერების, სახელწოდებების აღმოფხვრის მიზნით კომისია მიმართავს უფლებამოსილი პირს.

კომისიის მიმართვის შემთხვევაში უფლებამოსილი პირი ვალდებულია აღმოფხვრას კომუნისტური ტოტალიტარული ან/და ფაშისტური სიმბოლიკა.

ამ პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილი პირის მიერ კომისიის მითითების შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება იწვევს კანონით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი

მუხლი 174/ 16 . საქართველოს კანონით „თავისუფლების ქარტია“ გათვალისწინებული წესების დარღვევა

1. საქართველოს კანონის „თავისუფლების ქარტია“ მე-7 მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული კომისიის მითითების შეუსრულებლობა მის მიერვე დადგენილ ვადაში ან არაჯეროვნად შესრულება - გამოიწვევს უფლებამოსილი პირის გაფრთხილებას.

2. დადგენილი წესით მიცემული გაფრთხილების პირობების შეუსრულებლობა ან არასათანადოდ შესრულება - გამოიწვევს უფლებამოსილი პირის დაჯარიმებას 1000 ლარის ოდენობით.

კომისი საჯაროდ აცხადებს იმ თანამდებობის პირებზე, რომლებიც თანამშრომლობდნენ და კავშირო ჰქონდათ სსრკ-ის სპეც-სამსახურებთან, თუ ისინი ნებაყოფლობით არ დატოვებენ დაკავებულ თანამდებობას